პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---- ივლისის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №203836233), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონებების 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-სათვის შეადგენს 50,0 (ორმოცდაათი) ლარს, სულ წლიური საიჯარო ქირა 800,0 (რვაასი) ლარი.

**მუხლი 3.** წლიური საიჯარო ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

**მუხლი 4.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტის" (საიდენტიფიკაციო კოდის №203836233) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებები გამოყენებული იქნას, პრესის გავრცელების, აგრეთვე საფოსტო და კომერციული საქმიანობის ჯიხურების (გარდა საზოგადოებრივი კვების დანიშნულების პროდუქტებისა) განთავსების მიზნით.

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის --- ივლისის
№ ------ განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

| N | მისამართი | ქონების დასახელება | ფართობი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|
| 1. | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით | ტროტუარი | 4.0 კვ.მ. | 03.04.32.465 |
| 2. | ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №55-ის მიმდებარედ | ტროტუარი | 4.0 კვ.მ. | 03.04.26.540 |
| 3. | ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, I შესახვევი, №1 (ყოფილი რუსთაველის გამზირი) სახლის ჩრდილოეთით (ნაკვეთი №4) | მწვანე ნარგავი, გაზონის ნაწილი | 4.0 კვ.მ. | 03.04.01.400 |
| 4. | ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №2-ის სამხრეთით | ტროტუარი | 4.0 კვ.მ. | 03.04.21.034 |
| | | | 16.0 კვ.მ | |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით**
**განმარტებითი ბარათი**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტის" (01.07.2022 წლის POST 22 00019356) მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას საქართველოს ფოსტის სავაჭრო ჯიხურების განთავსების მიზნით, რომელიც სარგებლობაში გადაცემული იყო 2017 წლის 25 ივლისს გაფორმებული N38 საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, 5 (ხუთი) წლის ვადით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის" (ს.ნ. №203836233), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონების 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-სათვის შეადგენს 50,0 (ორმოცდაათი) ლარს, სულ წლიური საიჯარო ქირა 800,0 (რვაასი) ლარი. წლიური საიჯარო ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტის" (საიდენტიფიკაციო კოდის №203836233) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებები გამოყენებული იქნას, პრესის გავრცელების, აგრეთვე საფოსტო და კომერციული საქმიანობის ჯიხურების (გარდა საზოგადოებრივი კვების დანიშნულების პროდუქტებისა) განთავსების მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ფოსტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი